საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/96

ქ. ბათუმი 31 ---- ივლისი, 2018 წელი

2017 წლის საშემოდგომო მიღებისა და 2018 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 2018 წლის შემოდგომის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის საშემოდგომო მიღებისა და 2018 წლის საგაზაფხულო მიღების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის 2018 წლის შემოდგომის სასწავლო პროცესის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
   1.1. სააუდიტორიო მეცადინეობები - 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 29 დეკემბერს;
   1.2. ზამთრის არდადეგები - 2018 წლის 30 დეკემბრიდან 2019 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების შესაბამისი განცხადების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (ველში ,,პროფესიული პროგრამები").
4. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**